ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N96

2021 წლის 16 დეკემბერი
ქ. ამბროლაური

კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს „კულტურისა და სპორტის სფეროში წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამა“ დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2022 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

დანართი

კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის სფერო და მიზანი

1. პროგრამის ფარგლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის მოღვაწეებს მიენიჭებათ საპატიო წოდება და გადაეცემათ ფულადი ჯილდო.

2. პროგრამის მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების, პროდუქტიულობის ზრდა და მოტივაციის ამაღლება.

3. საპატიო წოდების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის ინიციატორია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური (ტექსტში შემდგომ - „სამსახური“).

მუხლი 2. წოდებები და ჯილდოები

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი სახის საპატიო წოდებებს:

ა) **„კულტურის საუკეთესო მოღვაწე“** – ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნულ წოდება მიენიჭება კულტურის სფეროს მოღვაწეს, რომელსაც გამოავლენს სამსახური, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენელთა ჩართულობით;

ბ) **„წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარი“** – ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ბიბლიოთეკების თანამშრომელს, რომელსაც გამოავლენს ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ მიერ შექმნილი კომისია. კომისიის შემადგენლობაში უნდა იყვნენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებიც;

გ) **„წლის საუკეთესო მკითხველი“** – ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკების თითო ყველაზე აქტიურ მკითხველს. მონაცემებს შეისწავლის სამსახური;

დ) **„წლის საუკეთესო სპორტსმენი“** – ფულადი ჯილდო ინდივიდუალურ სახეობაში 500 (ხუთასი) ლარი;

ე) **„წლის საუკეთესო ნაკრები“** - გუნდურ სახეობაში საუკეთესო შედეგების მქონე გუნდს გადაეცემა ფულადი ჯილდო 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;

ე.ა) ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებში კანდიდატს გამოავლენს სამსახური, სასპორტო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე;

ე.ბ) სპორტსმენი, რომელიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან მიწვეულია საქართველოს ნაკრებში, მიიღებს პრემიას კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ - 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;

ვ) **„წლის საუკეთესო მწვრთნელი“** - ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შესაბამის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთან შრომით ურთიერთობაში

მყოფ მწვრთნელს, რომელსაც ა(ა)იპ-ების დირექტორების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან, გამოავლენს სამსახური;

ზ) **„ახალგაზრდა ხელოვანი“** - ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სახელოვნებო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის აღსაზრდელს რომელსაც, ა(ა)იპ-ების დირექტორების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან, გამოავლენს სამსახური;

თ) **„წლის საუკეთესო მედიკოსი“** - ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოღვაწე ექიმსა და ექთანს, რომლებიც გამოვლინდებიან შესაბამის ჯანდაცვის დაწესებულებებში ჩატარებული ფარული კენჭისყრის საშუალებით. კენჭისყრის ჩატარებას უზრუნველყოფს სამსახური.

მუხლი 3. პროგრამის ადმინისტრირება

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სამსახური. სამსახური იღებს პასუხისმგებლობას, პროცესი წარიმართოს გამჭვირვალედ, ობიექტურად და მიუკერძოებლად.

მუხლი 4. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის დაფინანსების წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

მუხლი 5. პროგრამის ვადები

პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. შეფასების კრიტერიუმი

პროგრამის შეფასების კრიტერიუმია სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების განვითარება, ამ სფეროებში მოღვაწე ადამიანების წახალისების, მოტივირების და მათი ღვაწლის დაფასების გზით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს დამოუკიდებლად ან სამსახურის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე.